



პირველი კლასი

1950

თებერვალი

№ 5




ხვნი მაისი

აი მოვიდა ტურფა მაისი,
 ყვავილებით და მზით შემოხიდი;
 ხმაშენყოხიდი დღე დღეს უღიმი,
 როგორც საყვარელ დობილს დობიდი;
 ჩვენი მაისი,
 ჩვენი მაისი
 ყვავილებით და მზით შემოხიდი!

ის თავს ევლება მშობლიურ მთა-ბარს,
 მწვანე ვეჯილს და ტყეს ეფერება,
 მშვენიერებას ამკვიდრებს ჭიქუნად.
 მოაქვს ყოველთვის ბედნიერება;
 ჩვენი მაისი,
 ჩვენი მაისი
 მწვანე ვეჯილს და ტყეს ეფერება!

მოაფრიწლებს აღისფერ დროშებს,
 რა საყვარელი ფერებით ეღაბს,
 გვახარებს ყველას, რომ სიყვარულით
 ის პირველ ყვავილს მიუძღვნის ბუდას!
 ჩვენი მაისი,
 ჩვენი მაისი
 რა საყვარელი ფერებით ეღაბს!


2468 00000





5397

საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსი ი. ბ. სტალინი



დ ი ა დ ი მ ა ი ს ი

ჩვენ განსაკუთრებით შევხაროდით მაისის მოსვლას. და აი მოვიდა კიდევ იგი, გაზაფხულის ეს უმშვენიერესი თვე. სითბომ იმატა. ბუნება მწვანედ შეიშოსა, ხარობს ჩვენი გული. ორი დიდი დღესასწაული გადაიხადა ჩვენმა ხალხმა—პირველი მაისი და ცხრა მაისი. და არა მარტო ჩვენმა ხალხმა.

პირველი მაისი მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღესასწაულია, ყველა ქვეყნის მუშათა ძმობის დღეა. ნამდვილი საყოველთაო—სახალხო დღესასწაული იყო ეს დღე საბჭოთა კავშირში. რა შეედრებოდა იმ წარმატაც სანახაობას, რაც იმ დღეს საბჭოთა კავშირის დედაქალაქში, საყვარელ მოსკოვში, წითელ მოედანზე გადაიშალა. მხნედ, ლაღად მიაბიჯებდა დემონსტრანტთა უწყვეტი ნაკადი. იყო ზღვა ხალხი. მაისის ნელი ნიაგი აფრიალებდა დროშების ტყეს. დემონსტრანტებს მიჰქონდათ დიდი ლენინისა და დიდი სტალინის საყვარელი პორტრეტები. ყოველ კოლონას წინ უძღოდა დიაგრამები, მაკეტები, პლაკატები, რომლებზეც გამოხატავდნენ ჩვენი ხალხის მიერ სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე მიღწეულ გამარჯვებებს. დიდი ზეიმი იყო ჩვენს თბილისშიც, და არა მარტო მოსკოვსა და თბილისში,—ზეიმობდა მთელი საბჭოთა ხალხი ქალაქებში, სოფლებში. ამ სიხარულს, მოაოებულ გამარჯვებებს ჩვენი ხალხი უმადლის ლენინ-სტალინის პარტიას, ბრძენ სტალინს. ეს—მშობლიურმა სტალინმა გაგვიტენა ესოდენ ნათელმზიანი დღე.

პირველი მაისის დღესასწაულს დიდი ზეიმით შეხვდნენ სახალხო დემოკრატიის ახალი ქვეყნები. ამ დღეს დიდი ზეიმი იყო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში. ამ ქვეყნების მშრომელი თავისუფლად გამოვიდნენ დემონსტრაციებზე. დემონსტრანტთა კოლონები თითქოს ნაბიჯს უსწორებდნენ მოსკოვის დემონსტრანტთა კოლონებს. მოსკოვი, კრემლი!—ეს ის შუქურაა, რომელიც გზას უნათებს მათ სოციალისტურსა. მოსკოვისაკენ მიპყრობილია მთელი მსოფლიოს მშრომელთა ყურადღება. დის-

კოვი, დიდი სტალინი,—აი, იმედი მათი ბედნიერი მომავლისა.

ყველგან როდი ტარდება მაისობა ასე თავისუფლად. კაპიტალისტურ ქვეყნებში მთავრობამ, პოლიციამ მრავალი დემონსტრაცია გარეკა. ბევრგან სისხლიც კი დაიღვარა. მაგრამ პირველ მაისს მთელი მსოფლიოს მშრომელებმა გაბედულად გაილაშქრეს ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ. მშრომელ ხალხს არ სურს ომი, რასაც ამზადებენ ამერიკელი და ინგლისელი კაპიტალისტები. დიდი და ძლიერია მშვიდობისმოყვარეთა ბანაკი.

მშვიდობისათვის ბრძოლის ღონისძიებით ჩატარდა ჩვენს ქვეყანაში კიდევ მეორე დღესასწაული—ცხრა მაისი, პიტლერულ გერმანიაზე გმირი საბჭოთა ხალხის გამარჯვების დღე. მხოლოდ ხუთი წელი გავიდა იმ დიდი გამარჯვების დღიდან, მაგრამ რამდენი რამ გაკეთდა ჩვენს ქვეყანაში ომით დანგრეულის აღსადგენად. ნანგრევებიდან აღსდგა მრავალი ქალაქი, აშენდა, აშუშავდა მრავალი ახალი პირობილი ქრონოსადგური, ქარხანა, სკოლა, კლუბი, თეატრი... ჩვენი ქვეყანა უდიდესი წარმატებით ამთავრებს მშენებლურ მუშაობის აღდგენისა და განვითარების მეოთხე სტალინურ ხუთწლეულს.

ჩვენი ხალხი იშუშებს ომით მიყენებულ ტრილობებს. და მას არ სურს ახალი ომი. საბჭოთა ხალხი მშვიდობისათვის ბრძოლის მეტაურია მთელს მსოფლიოში. მილიონობით მშრომელი ახალგაზრდა მშვიდობის მომხრეთა დროშის ქვეშ დგას. საბჭოთა ახალგაზრდობა, რომელსაც კომუნისტური სულისკვეთებით, პროლეტარული სოლიდარობის სულისკვეთებით ზრდის ლენინ-სტალინის პარტია,—მთელი მსოფლიოს დემოკრატიული ახალგაზრდობის ავანგარდში მიდის.

სტალინური მზით გასხვივებული ჩვენი ბედნიერი ახალგაზრდა თაობა, თავისი გმირული შრომითა და შეუპოვარი სწავლით, მაგალითის ძალეგს დემოკრატიული ქვეყნების ახალგაზრდობისადმი.



მეგობარი მიტომ მინდა,
დამეხმაროს გასაჭირში.
თუ კარგი ვარ — გაუხარდეს,
თუ ცუდი ვარ — მითხრას პირში.

ავად გავხდები... თვით ახლაც კი
სულ მახველებს, სულ მათრთოლებს;
გამოცდები ახლოვდება,
მე — ჩამოვრჩი თანატოლებს.

გამოცდები ახლოვდება!
ვაი, რალა მეშველება!
უნდა ტოლებს დავეწიო, —
შორს წოლა და შესვენება!

ვენაცვალე ჩემს რუსიკოს,
მოვიდა და ვიგრძენ ძალა,
მომიტანა განვლილი თქმა
და ათასი სხვა მასალა.

დავჯექი და ვიმეორე
ლღისით, ღამით, ცხადად, ძილში...
მეგობარი მიტომ მინდა,
დამეხმაროს გასაჭირში.


და რუსიკოს შემწეობით
მოვემზადე ისე კარგად,
ყველაფერი აღვიდგინე,
რაც ციებამ დამიკარგა.

მასწავლებელს ვეტყვი ახლა:
კარგადა ვარ ჯანზე, ფერზე,
გამოცდებზე მკითხეთ ბევრი,
გიპასუხებთ ყველაფერზე!

ი. გრიშაშვილი.

პოეტი-აკადემიკოსი, სტალინური პრემიის
ლაურეატი





ცყ სრიალუშს, — და აწივი
სერაფს ლაქვარდს მზლავრი ყრთუშით;
ყვავილუშით შიშოსა
მინდორი და ჯილა შთუში!..

ღუღუშში თქრიალუშინ
გაშათხულის ნიაღვრუში...
ეს დრო იყო — მცრის შუნაგის
ზღუდეშს რომ მივარღუჯდით.

ეს დრო იყო, როცა შერლინს
შეჟუნგრიეთ რკინის კარი,
როცა დაშნა მცარჯალისა
ბირს დაყცა გადაშცყდარი!..

როცა სბლია შორთცუშას
ჩუენი ხალხის ხმა და ნუშამ;
ეს დრო იყო... გაშათხულშა
შოგვილოცა გამარჯუშა!..

გავიშარჯუთ!.. ვულავ ასალი
გამარჯუშის რუკავს ზარი, —
დღუგრბელთბდეს ხალხთა მამა,
შულადი და შეგთშარი!..

შალვა შაველაშვილი





ზურაბის ოცნება

ანდროპოვიძე

მთხრობა

ნახტ. გ. ლიკა

ჯერ კიდევ არ იყო გათენებული, როცა მატარებელი სადგურთან გაჩერდა. ვაგონიდან შუატანის მუზღღაური ჩამოვიდა. თოვდა.

ჩემოდანი თოვლზე დასდო, შარჯლის ტოტები აიყვია, ორგელივ მიმოიხედა. მშრალი თოვლი ეფინებოდა მიწას, სახლებს, ხეებს. დაიხარა, ჩემოდანი აიღო და გზას გაუდგა.

ექვსი წელია რაც არ უნახავს მშობლიური სოფელი. ექვსი წელი განა მცირე დროა ბალტიის ზღვაში წყალქვეშა ნავს მეთაურობდა, ფაშისტებს ებრძოდა.

თოვლმა ფეხი დაუსველა, გაუთოებელი შარჯლის ტოტები ჩერებს დაემსგავსა, მაგრამ იგი მანძი სიაშოვნებით მიამიჯებდა, თანაც აჭეთ-იჭით იყურებოდა.

გათენებისას მწვანედ შეღებილ ჭინჭარს მიადგა. საღებავი ალაგ-ალაგ შემოსცლოდა ჭინჭარს. ამ დროს ჭინჭართან მდგარი, სურთით შემოსილი ვაშლის ხიდან ჭახჭახით შაში გადაფრინდა. მგზავრმა აიხედა. ხის კენწე-როებს ბლომად შერჩენოდა ვაშლი:

„დაბერდნენ ჩემი მშობლები, თორემ ხეზე ვინ დასტოვებდა ვაშლს!“ გულისტიკიელით გაიფიქრა და ჭინჭარი შეაღო.

ბუხარის მიღს თვალი შეავლო. ბოლი არ ამოდიოდა.

„ძინავთ!“—გადასწყვიტა მან. მტრია არ შემოვივება, ალბათ დაბერდა, ან მოკვდა.

სახლის კარზე ფრთხილად დააკაკუნა. კარები მოხუცმა დედამ გააღო, თოვლისაგან გათითრებული ვაჟაკი ვერ იცნო.

—ვერ მიცანი, ნენა?

—ნენა შემოგველოს, შეილო,—აჭეთინდა და შეილს შემოეხვია.

ლოვინიდან მამა წამოიჭრა და შეილი გადაპკონცა.

—ზურიკოს ძინავს?— იკითხა მოსულმა.—ჩემს მეუღლესაც ძინავს?

—ზურიკოს ახლავე გაავლიძებ, შეილოს გიორგი. პელავია კი თბილისშია, ზეგ ჩამოვია.

დედა მეორე ოთახში შევიდა.

ფეხშიშველი, ხუტუქთმიანი, ლამაზი ბიჭუნა გამოეყარა და მამას კისერზე ჩამოეკიდა.

სიღამოს, ბუხართან, სამფეხა სკამზე რჯდა გიორგი, მუხლებზე ზურაბი ეჯდა. ოთახში თავი მოეყარათ მის ნათესავეებსა და მეზობლებს.

გიორგი ბუხარში აღმოდებულ კენძს სიყვარულით შეჰყურებდა და უამბობდა იქ მყოფთ:

„ზამთარია. თოვს. წყალქვეშა ნავი ფრთხილად მიმყავს. ფაშისტები ზღვას ნაღმავენ. მიდიხარ წყალში, ევრაფერს ხედავ. ზევით ამოსულა საშიშია, მტრის თვითმფრინავები დაფრინავენ, შეგნიშნავენ და ბომბებს დაგაფრინ. უცებ, რალაცას გაეხახუნა ნავი. ყველა დაძაბულია. უთუოდ ნაღმია, სადაცა იფეთქებს და ჩვენს ნავს დალუპავს. მაგრამ, ნაღმი არ გასკდა, ხმაური აღარ ისმის, ყველამ თავისუფლად ამოისუნთქა. დროგამომეებით ზევით ვიწვეთ, პერისკოპით“

* პერისკოპი — წყლის სიღრმეში ზღვის ზედაპირის დასათვალიერებელი ბელსაწყო.

ზღვის ზედაპირს ვათვალისწინებთ. აი, შორით კვამლი გამოჩნდა. მცირე ხნის შემდეგ გარკვევით ისახება დიდი გემი მაღალი ანძებით. გემის გარშემო ჯაფშნიანი კატარღებია. ვუსახლოვდებით ერთმანეთს. გემი უკვე ახლოა. ტორპედო * ვესროლეთ. ჩვენი ნავი შეტორტმანდა და გვევით ეშვება, მოტორი გამოთვლია, ნავში დუმილია. მცირე ხნის შემდეგ აფეთქების ხმა გვესმის. ვეხარია, დავალუბა შესრულებულია, მტრის გემი იძირება. ჯაფშნიანი კატარღები გვეძებენ, სპეციალური აპარატები აქვთ მომარჯვებელი, რომ ჩვენი ნავის მოტორის ხმაური გაიგონონ. ჩვენი მოტორი კი დუმს, ვერ მიხვდებიან სადა ვართ. ჯაფშნიანი კატარღები ბომბებს ყრიან ზღვაში. ხან შორს, ხანაც ახლოს სკდებიან ბომბები. ჩვენი ნავი ირყევა. ხანდახან ისე შეარყევს ნავს და ათრთოლებს, რომ შეშინებული შევცქერა ქიმებს. ასე მგონია დაილეწა ქიმი და წყალი შემოდგაფუნდა ნავში. ეცდილობთ წონასწორობა დაეცვათ, ყველაფერს ვეძიდებით.

გადის ერთი, ორი საათი, ირგვლივ სიწყნარება. ჯაფშნიანი კატარღებზე არ ხმაურობენ მოტორები. მტერს სურს მოგავტყუოს, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ მტერი ზე-

* ტორპედო — განსაკუთრებული სახის ყუმბარა, რომელსაც წყალქვეშა ნავიდან ისვრიან.

ვითაა, არსად წასულა. მოტორები სდუმს, მაგრამ მტერი უხიზლადაა, ჯაფშნიანი კატარღები ჩვენი ნავის ახმაურებას ელოდებიან, რომ მერე ბომბები დაგვაცხარონ. დიდხან ვართ ასე...“

გიორგი გაჩუმდა. თვალები მოწყურა, მერე თქვა:—ასე ხდებოდა ხშირად. დაიღუბოდნენ ლოდინი და მერე თავს დაგვანებებდნენ, მოგვეშორებოდნენ. ჩვენ კი კვლავ განუვარძობდით გზას და მტრის ხომალდებს ველომებოდით.“

ზურაბი სმენად იყო ქცეული, მაშას თვალს არ აშორებდა. მისი ფიჭვი ლურჯად გაშლილ ზღვას დასტრიალებდა. ასეთი იყო ზღვა, ბათოშში რომ ნახა შარშან.

—წყალქვეშა ნავზე მზდელი ვერ იმუშავებს—წარმოსთქვა გიორგის შეზობელმა, მოხუცმა კოლმეურანემ.


—მართლაც—დაუდასტურეს სხვებმა. გიორგის მშობლები ერთად ისხდნენ. ბედნიერი მამა ამაყად უმზერდა ორდენებითა და მედლებით დამშვენებულ შვილის მკერდს. დედა სიხარულის ცრემლს იწმენდა და შვილის ვაჟკაცურ სახეს უსაზღვრო სიყვარულით შეჰყურებდა.

ზურაბი კი ფიქრობდა: ვისწავლი, და, როცა მამასავით დიდი ვიქნები, წყალქვეშა ნავზე ვიმზახებები!





ვეპენი (ლოლაგოვსკი)

 ზერბაიჯანი, აზერბაიჯანი!
ვინ ნახა მხარე უფრო ზღაპრული!
მიცურავს ნისლი კასპიის ზღვაზე,
ჩანან ანძები ნისლში ჩაფლული.

და ბაქოს თავზე, სამხრეთის ღამით,
აღმასის ღამბრებს არა აქვთ რიცხვი.
სუნთქავენ დიდი საწარმოები
და ქარი დაჰქრის ქვიშაზე ზღვისპირ.

პროჟექტორები აპობენ უკუნს
და შორეული მესმის თქარუნი,
თითქოს კდლოვანი ბილიკით მოჰქრის
გმირი ქოროლი აბჯრის ქლარუნით.

ყვავილთა მხარევე აღმოსავლურო,
კასპიისპირა ბურჯი ხარ ჩვენი.
რად მოიგონეს სამოთხე ცაში,
როცა ყვავილობს მულანის ველი.

ჩასჭიდებია ქვას ღურჯი ვაზი,
შემწიფებია მარცვადი ყურძენს
და შავ-მოდურჯო, ალტაცებუდი
მისი თვალეზი ქვეყანას უცქერს.

მე შენს ყვავილებს ვუმღერი ასე...
ვარ, მაპატიე, აღუშვოთველი—
დააჭიდოვეს გენერლის ჩინით,
ვიცი, ოცდაექვს კომისრის მკველი.

ის არ ცხრება და — „ესროდე, მოჰკად!“
ძილშიც აბოდებს გვედის წინილსა,
მას იზიდავენ მთის მწვერვალები
და ნავთი—სისხლი დედამინისა...

მშვიდობის ცისქვეშ მაგნოლიებმა
დაე, სურნელი გული გაშაღონ!
ყველა მოტორში შენა ხმაურობ
აზერბაიჯანო, აზერბაიჯანო!

თარგმანი მუსტან ლიბანიძისა





საზღვაო მარცხენის საბჭოთა რესპუბლიკა

ოკდათი წლის წინათ, 1920 წლის 28 აპრილს აზერბაიჯანის მშრომელდება, დიდი რუსი ხალხის დახმარებით, თავის ქვეყანაში დაამყენა პირველი თეაზიულ-მემაქლეური რეჟიმი და დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება. აქედან იწყება ამ ქვეყნის სამშენებლო. თუ რეველუციამდელი აზერბაიჯანი მე-აღორქინება. თუ რეველუციამდელი აზერბაიჯანი მე-აღორქინება ერთ-ერთ ყველაზე უფრო ჩამორჩენილ მხარეს წარმოადგენდა, სტალინური ხუთწლიანი პერიოდში იგი მოწინავე ინდუსტრიულ რესპუბლიკად გადაიქცა.

აზერბაიჯანის დედაქალაქი ბაქო საბჭოთა კავშირის ნათლობაზედ და ნათობადმუშაების ყველაზე ძლიერი ცენტრია. სამამულო ომის პერიოდში ძირითადად აზერბაიჯანის ბუნებით მრავალფეროვან საბჭოთა ავიაცია, ტანკები, რომლებიც ანადგუმბოდნენ გერმანულ ავაზაცია არმის.

მეგრამ მარტო ნათობით როდია ქებული აზერბაიჯანი. ქალაქ ციოვადთან მოიპოვება დაშექსანის მაღალბარისხივანი რკინის მდინის საბადო და ახლო მომავალში ამიერკავკასიის მეტალურგიული კომბინატი აზერბაიჯანიდან მიიღებს მადანს. ამით კიდევ უფრო განამტკიცდება ეკონომური კავშირი აზერბაიჯანსა და საჭარტველოს შორის.

თანამედროვე აზერბაიჯანში არის მანქანათმშენებლობის, სითამადრო, ქიმიური, გემოკების, სავეტერინარიული და მრეწველობის სხვა ფაქტები, რომლებიც სტალინური ეპოქაში შეიქმნა და განვითარდა.

ქვეყნის სახალხო მეურნეობაში დიდი ხვედრითი წილი აქვს სოფლის მეურნეობასაც. ასე მებაოთაოდ, აზერბაიჯანი არის სსრ კავშირის მეტამეობის მეორე მაგნა შუა აზიის შემდეგ და იგი თავისი ბაზებით სავსებით ამაყოფილებს ამიერკავკასიის მომქე რესპუბლიკების მოთხოვნებს. აზერბაიჯანის სოფლის მეურნეობაში დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მეთამბაქოობას, მებელობას, მეამრეშუმეობას... ათ-

ოდ წლის წინათ აზერბაიჯანის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში — ლენკორანის რაიონში, სადაც თბილი და ტენიანი ჰავა, შეიქმნა საბჭოთა კავშირის სუბტროპიკული კულტურების მეორე ბაზა. ე. წ. "კასპიის კონდოი", სადაც უკვე ასეულ ჰექტარზე გაშენებულია ჩაი, ციტრუსები, ძვირფასი ტენიანი

კულტურები... ზღვის სანაპიროებზე მისდევენ მეთევზეობას. აზერბაიჯანიდან სსრ კავშირის მსხვილ ქალაქებში დიდი რაოდენობით მიდის თევზული და ძვირფასი შვი ხიზილა.

აზერბაიჯანის სახალხო მეურნეობის შემდგომ აღმავლობას ხელს შეუწყობს მიხეგრანურის პირობულ-სადგურის მშენებლობა, რომელიც თავისი სიმძლიერით ყველაზე დიდი იქნება საბჭოთა კავშირში დიეტრო-ავიის შემდეგ. აატირსფერ მთასთან შეგუბდება მტკვარი, გაეუფდება კანალი და თავისი ფართობით სვეთის ტიამ (სოხეთის სსრ) გადააჭარბებს. მიხეგრანურად დენს მოაქვდის ბაქოს და სხვა ქალაქებს. ამასთადაც ამ წელით მოარწყვება 600 ათასზე მეტი ჰექტარი მიწა, დიდმდე გამოუყენებელ მტკვარ-არაქსის დაბლობზე.

აზერბაიჯანულს ხალხს უდიდესი წარმატება მოიპოვა განათლებისა და კულტურის უარგში. თანამედროვე აზერბაიჯანი მთლიანი წერა-კითხვის სკოლაობის ქვეყანაა. ამჟამად რესპუბლიკაში არის 19 უმაღლესი სასწავლებელი, 1 მცვეთერება აკადემია, 60 საექსინერო-კვლევითი ინსტიტუტი, ათასობით ბელოთეკა, მრავალი თეატრი, კულტურული დაწესებულებები და სხვ.

აზერბაიჯანის საბჭოთა რესპუბლიკის დედაქალაქი ბაქო საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქი, წარმოადგენს უდიდესი სამრეწველო ცენტრს და ნავსადგურს. ბაქო მდინარია თავისი ისტორიულ-რეველუციური წარსულით. ბაქოს სახელთანაა დაკავშირებული მოლშეიკეური პარტიის გამოჩენილი მოღვაწეების ციოვოლოის, ციოვოს, თარჯონის, მიქოიანის, შუშინანის, ჯაფარიძის და სხვების რევოლუციური მუშაობა.

ბაქოში მუშაობდა დიდი სტალინი და ბელმძღვანელობას უწევდა ბაქოს პროლეტარიატს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლას.

საბჭოთა ხალხების დიდ მშურ ოჯახში იხრდება და მტკიცდება საბჭოთა აზერბაიჯანი. მტკიცედ მიდის წინ ახალ-ახალი გამარჯვებებისაკენ, კომუნისმისაკენ.

დოკ. გრ. ზარალნივილი.

გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი

მატარაკ ცხენოსნები



კობე მისი

მოთხოვნა

ნახ. შ. მებრეველისა

მთაზე შეფენილ სოფელს გაედვიძა. ცხენოსნობის მოყვარულ ჩავე შამათავას ოჯახში ყველაზე ადრე გვიცადდა. პერანგისა და მოკლე მარცლის სწორებით იგი აიწვიდან ეზოში ჩავიდა, სადაც მისი საყვარელი ცხენი მარლია იყო დაბმული.

მარლიამ ჩაიფრტუტუნა, ბალახის სრამუნის შეანელა და შექიანი თვალები თავის მოამაგე ბიჭს მიაპყრო. გვიე გრძელ კისერზე მოეხვია მარლიას, თეთრ ფეხებზე ჩაუსვა ხელი. შემდეგ მკვირცხლად მოახტა ზურგზე... გაქენებული ცხენისა ფლოქების თქარუნნი მუნნარით დაფარულ ფერდობებს მოედო.

გვიემ ჩანჩქერს მიალწია. ჩანჩქერში მან დაინახა საშუალო ტანის, გავადაქანებული წაბლისფერი ულაყი. ცხენს საწინთა და საბმერეველით ჰბანდა მუხლებამდე წყალში; ჩამდგარი ბიჭი.

— გამარჯობა ჯოტო! მარულაში მონაწილეობის მისაღებად ემზადები, არა?

— ეგეზადები!— ჩაიციხა ჯოტომ.— ენახოთ რას მოგვიტანს მომავალი კვირა. როგორც სახელით დებურდნებით თბილისიდან!

გვიე ცხენიდან ჩამოხტა, აუვირისთვის ხელი არ მოუშორებია, წინ გაუძღვა მარლიას და ჩანჩქერში შეიყვანა.

გვიე და ჯოტო ერთმანეთის ახლო მეგობრები არიან, მაგრამ ცხენოსნობაში ერთმანეთის მეტოქენი.

კვირა დღეა. საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან ეწვიენენ თბილისს ცხენოსნები. მათ შორის იყვენენ ჯოტო და გვიე.

ბევრი დრო აღარ დარჩენილიყო დოლას დაწყებამდე... მხედრები ცხენებს ამოღვომოდნენ. მარლია ცქმუტავდა, ტორებს აბაკუნებდა ნაწვიმარ მიწაზე. გვიის მარჯვენა

ხელით აღვირი ევირა და მამამისის დარიგებას ისმენდა:

— არ ანქარდე, ცხენი თავისუფლად მიუშვი, მათრახი არ იხმარო!..

ამავე დროს გვიე თავის მეტოქეებს თვალს არ აშორებდა. დაბალი, ქერა, ქოჩორა ხეცესურის ჰაბუქი ვეენ-ცხენთან ტრიალებდა. იგი მოკლეთარიან მათრახს იცემდა ჭრელ ჰაქიქზე. ზუგდიდელი ტანხმელი მხედარი შეეჭურანზე მოკლეცილი მოკლე მანძილებზე ჯირითობდა. ჯოტო და გვიე ერთმანეთს თვალუბით შეხედნენ. „ენახოთ!“ ამოიკითხეს შათ ერთიმეორის თვალუბში.

მაჯის პირველი ნიშანზე გვიემ მოხდენილად შედგა მარცხენა ფეხი უზანგში და მხატე ტანი ნიაკივით აიტაცა ჭრიქინა უნგარზე. ოდნავ შეტოკდა შეხურებული ცხენი. მხედარი შეათამაშა და ლაგამი თეთრად ელვარე ბრტყელი კბილებით გააღრქიალა.

მარულის დაწყების მოლოდინში იპოდრომზე სიჩუმე ჩამოვარდა, მხოლოდ მოუსვენარი ცხენების ფრუტუნნი ისმოდა. აი, დამბანამ დაიქუხა: ეს იყო ნიშანი შეჯიბრების დაწყებისა. ფეხის ცერებით უზანგებზე შემდგარი და ოდნავ წინწახრილი მხედრები მყისვე მოწყდნენ ადგილიდან.

თავიდანვე ჯოტოს ყორანა დაწინაურდა, ათიოდე ნახტომით უკან მისდევდა მას მარლია. თოხარიკით მიდიოდა ხეცესურის ვეენი ულაყი. შემდეგ აქარელთა თეთრა ფაშატები მიგელადენენ და მათ უკან კიდევ ქიხიყელის ფეხმარდი ნიავა ჩანდა.

უკვე რაჯაჯერ შემოირბინეს ცხენებმა იპოდრომის წრე. წინ ისევ ყორანა იყო.

— დროა მიუშვამ!— გაიფიქრა გვიემ და ქუსლი ჰკრა მარლიას გაოფლილ მუცელზე... ცხენმა შემონახული ძალა მოიკრიბა. რამდე-

ნიმე ნახტომის შემდეგ მისი პატარა ყურაც-
ვეტილი თავი ყორანას ნესტოებს გაუთან-
სწორდა. მარლიას ფლოქვეებს თქარუნი ელ-
დად ეცა ჯოტოს: „ფინიშამდე ხომ სულ
ორი შემოვლა-ლა იქნება?“ გაიფიქრა მან.
წრის მოსახვევში მარლიამ კიდევ უფრო უმა-
ტა ნახტომებს. ცხენები მკიდროდ მიიჭრნენ
ერთმანეთთან.

„არ მაჯობოს!“—გაიფიქრა ჯოტომ და ვი-
თომც უტაბედად, მაგრამ გაჭკრა გივის იდა-
ყვი. გივი არ მოელოდა ასეთ უხეშობას ამხ-
ნავისაგან. წონასწორობა დაჰკარგა და ძირს
რომ არ გადამოვარდნილიყო, ცხენის გამწლილ
ფაფარს ჩააფრინდა ორივე ხელით.

—ეს ლაჩრობაა!—მიამხა ჯოტოს პატარა
მხედარმა. მკვეთრი მოძრაობით შეშინებულ-
მა მარლიამ ნაბიჯს უკლო და როცა გივიმ
წინ გაიხედა—ყორანას გამწლილი კლდი დაი-
ნახა. უნაგირზე შესწორდა, მუდარით ჩასძა-
ხა გაოფლილ მარლიას რაღაც.

თითქოს მიხვდაო მხედრის სურვილს,—
ცხენმა მბზინავი კისერი წაიგრძელა, უფრო
წაქვიტა ყურები და ტანმოშვილდული გა-
ქენდა. ფინიშამდე მოკლე მანძილი დარჩა...
უკვე გრიალებს მაყურებლების ტავი...
ისინი პირველობას გივის ულოცავენ, რო-
მელმაც ცხენის ერთი ნახტომით გაუსწრო
ჯოტოს და კიდევ გაატაცა გამარჯვების წი-
თელი ალამი.

გათენების ხანი იყო. გამჟღავნებულ ცის
შუბათზე ჯერ კიდევ კომციმებდნენ ვარს-
კვლავები. მარულაში მონაწილეთ ტკბილად
ქმინათ. მათთვის განკუთვნილ კობშია ორ-
სართულიანი სახლის გრძელ ოთახში, სუფთა
საწოლზე, ჯოტო იწვა.
—ახუ!—იძახდა იგი ძილში. საბნიდან გა-

მოშვერილი მკლავი გაიქნია, თითქოს მათ-
რახს სცემსო. კედელს მიარტყა მოკუმშული
თითები და ტკივილმა გამოაღვიძა. ჯოტომ
დაინახა, რომ იატაკზე ორკეცად გაშლილ
ნაბადზე ძინავს გამარჯვებულ პატარა მხე-
დარს. თვალების სრესით წამოღდა. მას ჯერ
კიდევ ძილის წინ სურდა თავისი ჩანაფიქრის
შესრულება— ბოდიშს მოხდა ამხანაგის წი-
ნაზე, მაგრამ ეგონა, რომ ეს იქნებოდა მისი
თავმოყვარეობის შელახვა. „ახლა კი ყველას
ძინავს, საუკეთესო ღროა...“ — გაიფიქრა
ჯოტომ.

—გივი... გივი!...—მოკრძალებული ჩურჩუ-
ლით ჩასძახა მძინარე გივის ჯოტომ და ამხ-
ნავის მკლავს ფრთხილად შეახო ხელი.

შეკრთა გივი. თავი წამოსწია და ჯოტოს
დაუწყო ცქერა. ფერმიხდილი სახე, გამშრა-
ლი და მიზაოკებელი ტუჩები სინანულში
ჩაუარდნილი ბავშვის იერს აძლევდა ჯოტოს
სახეს. გივის გაუეკირდა, რომ ჯოტო ასეთი
სახით თავს დასდგომოდა.

—რატომ არ გძინავს?—ოდნავ წყენთ
უთხრა გივიმ.

—სიზმარი ვნახე და გამეღვიძა!

—რა ნახე? ვითომ მე რომ ცხენიდან ჩა-
მომაგდე და დავშავდი?!

ჯოტოს შერცხვა. გაიფიქრა: ასეთ მოსწ-
რებულ სიტყვას მოსწრებელი პასუხი სჭირ-
დებოდა და ვანაგრძო:

—არა! ვითომ მე ჩამოვევარი და დეშავე-
დი!—ჯოტო გაჩუმდა, შემდეგ დაუმატა:

—შენდამი ჩემი საქციელით მართლაც
დაშავებულნი ვარ! ცუდად მოგაქეცი გივი-
მპატიე!

გივის ეამა, რომ ჯოტოს შეეგნო თავისი
დანაშაული და სინანულის გრძნობამ იგი ასე
შეაწუხა.





ქუთაისის ნორჩი ტექნიკოსები

სკოლებში გაკვეთილები დამთავრდა. გაზაფხულის შხაბი დღეა. მოსწავლეები მზიარული ბაასით ჯგუფ-ჯგუფად შინ ბრუნდებიან. აგერ ერთი ჯგუფის ორი ბიჭუნა გამოეყო, ქუჩა გადასტრეს და იქვე ორსართულიანი შენობის შესასვლელში შევიდნენ. შენობის კარებთან კედელზე მიკრულია მინის საფარიანი ფურცელი. ბიჭუნებმა ეფრო დერეფანი გაიარეს და მარჯვნივ ერთ დიდ ოთახში შეუხვიეს. აქ გამოფენილია სხვადასხვა მანქანებს, ხელსაწყოებისა და თვითმფრინავების მოდელები. კედლებზე გაკრულია ნახაზები. ყველაფერი ეს გაკეთებულია ქუთაისელი ნორჩი ტექნიკოსების მიერ.

ორი ბიჭუნა, რომელიც ოთახში შემოვიდა, გაემართა კარების მოპირდაპირე სტენდსაკენ.

— თქვენ რა გაანტერესებთ ბიჭუნებო? — შეეკითხა მათ ერთ-ერთი ტექნიკური წრის ხელმძღვანელი.

— ელმავალი გვიანა ვნახოთ. — მორცხვად უთხრა ერთმა მათგანმა.

— პირველად ნახულხომ?

— არა, მე ერთხელ ვნახე, — თქვა იმავე ბიჭუნამ, — მაგრამ ახლა ეს ჩემი ამხანაგი მოვიყვანე და მინდა ამანაც ნახოს.

ხელმძღვანელს გაეცინა. ეტყობა ბიჭუნას ელმავალი მოსწონებია და მისი მოძირობით ამხანაგიც დაუინტერესებია.

— მოდი, ნახეთ! — უთხრა მათ ხელმძღვანელმა და ბიჭუნები სტენდთან მივიყვანა.

სტენდზე გამართულია რკინიგზის პატარა ლიანდაგი. ლიანდაგზე დგას პატარა ელმავალი. ელმავლის ბიუგელი მიბჯენილია საპარეო ხაზზე, რომელიც ლიანდაგის გასწვრივ ლითონის წვრილ ბოძზეა გაქმული.

ხელმძღვანელმა ხელი შეახო ელექტრომავალს... და ელექტრომავალმაც მოძირობა დაიწყო. აგერ ლიანდაგის დასასრულს მიადგა, ცოტა შეჩერდა და კვლავ უკან წამოვიდა. ლიანდაგის მეორე ბოლოში ელექტრომავალი კვლავ ცოტა შეჩერდა და ისევ წინ წავიდა... ასე იმობრავა ელექტრომავალმა, სანამ ელექტროდენი არ გამოართვის.

ამ საინტერესო მოძირობას შემდეგი გარემოება იწვევს: ელექტრომავალში შექანიხეზის სამუშაოებით ავტომატურად ხდება ელექტროძირვის გადაართვა და ელექტრომავალიც საწინააღმდეგო მიმართულებით იწყებს მოძირობას.

ეს პატარა ელმავალი ვააყეთეს ქუთაისელმა მოსწავლეებმა, ტექნიკური სადგურის ნორჩმა ტექნიკოსებმა ს. რევიშვილმა, რ. ჭეღამეა და დ. გალდავამ.

ტექნიკური დაინტერესებული ასეთი მოსწავლეები ბევრია ჩვენს სკოლებში.

მოწინავე ტექნიკური შეცნიერების შესწავლასა და ტექნიკის დეტალებისადმი მისწრაფება ჩვენს მოზარდ თაობაში დღითიდღე იზრდება. პიონერმოსწავლეთა საგრძნობი ნაწილის ოცნებაა გახდეს გამოცონებელი, სახელოვანი ინჟინერი, ფიზიკოსი, ავიაციონსტრუქტორი, ქიმიკოსი, მფრინავი, გემთმშენებელი და სხვ. ტექნიკით დაინტერესებული ბევრი წარსილებული მოსწავლე მართა სკოლის სასწავლო პროგრამით არ ემაყოფილებდა. იგი, სახელმძღვანელო წიგნებთან ერთად, კითხულობს ტექნიკურ ლიტერატურას, დამოუკიდებლად აწარმოებს ფიზიკურსა და ქიმიურ მოვლენებზე დავირობებსა და ცდებს, ცდილობს რაიმე ტექნიკური მოწყობილობა ან მანქანა გააკეთოს, გამოიგონოს; ადგენს ნახაზებს, აკეთებს მოდელებს. ტექნიკით ასეთ დაინტერესებულ მოსწავლეებს თავისი უნარისა და ნიჭის გაფურთქებაში ხელს უწყობენ ნორჩ ტექნიკოსთა სადგურები.

ქუთაისის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურში მიიღო პირველი ტექნიკური წერტილი სახელოვანმა მფრინავმა უფროსმა ლიტენანტმა სერგო გორდაქემ. მან სამამულე ომის პერიოდში საპარეო ბრძოლებში მტრის 8 თვითმფრინავი ჩამოავლია, რისთვისაც მეტროპოლი დაჯილდოებულია ხუთი ორდენითა და ხუთი მედლით. ასევე აღსანიშნავია ქუთაისელი ყოფილი ნორჩი ტექნიკოსები, ამჟამად ექვსგზის ორდენისანი მფრინავები ვ. ყიფიანი და დ. დოლაბერაძე. ქუთაისის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურის ყოფილი ნორჩი ტექნიკოსები: ვ. ივანოვი ამჟამად საზ-

ლეო-საფრენოსნო სკოლის კურსანტია, ბ. დოლონაძე საავიაციო ინსტიტუტის მე-4 კურსის სტუდენტია, გ. ფანცხვა, ფ. ლომ-ბერგი ინჟინრები არიან. ამთავან ნშირად მოღის წერტილები ჭეშაოსის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურის ხელმძღვანელთა სახელზე და სიამოვნებით ივლინებენ იმ დროს, როცა ისინი სადგურში მუშაობდნენ.

ჭუთაისის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურში ხუთი ტექნიკური წრე არსებობს: ავიო-სამოდელო, ელექტროტექნიკური, ფოტო, ქიმიკისა და სატრანსპორტო. ამ წრეებში 179 ნორჩი ტექნიკოსია გაერთიანებული.

ავიო-სამოდელო წრის ნორჩი ტექნიკოსები ავითებენ სხვადასხვა ტიპის თვითმფრინავ მოდელებს. სისტემატურად ეწყობა ავიომოდელისტთა ნამუშევრების გამოფენები. 1949 წლის 21 დეკემბერს, ამანავ ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით, ქალაქის სხვადასხვა კუთხიდან ერთდროულად იქნა ამგებული ნორჩ ავიომოდელისტთა მიერ გაკეთებული ხუთი დიდი სამაგრო ბერითი. ქალაქის თავზე ამ ბურთების ფრენამ დიდი აღტაცება გამოიწვია ქალაქის მოსახლეობაში.

ნორჩი ელექტროტექნიკოსები ავითებენ სხვადასხვა სახის პატარა ელექტრომობილებს, მანქანებისა და მექანიზმების მოქმედ მოდელებს. ნორჩმა ტექნიკოსებმა დ. გალდავამ და რ. ჭედიამ გააკეთეს რადიოლოკატორის მოქმედების სადემონსტრაციო ხელსაწყო, რომლის საშუალებით შეგვიძლია განვსაზღვროთ თვითმფრინავის მოძრაობი მოდელის ფრენის სიმაღლე. მიმართულება და მანძილი. ელექტროტექნიკური წრის წევრმა შ. ლიორთქიფანიძემ დაამზადა რენტგენის აპარატი. ამ აპარატით შეიძლება გაშუქების ცდების ჩატარება.

ქიმიის წრის წევრმა ე. კიშინაძემ იშვილმა გააკეთა სპილენძის უანგის ნახშირორყავად ოსდაგენი ხელსაწყო, ი. ნაფეტვარიძემ დაამზადა გოგირდოვანი ვაზის თხევადი სახით მიღების ხელსაწყო. ბ. ტყემელაშვილი — ნახშირუანგის მისაღები ხელსაწყო და სხვ.

1949 წელს მოეწყო ნორჩ ტექნიკოსთა ნამუშევრების საქალაქო გამოფენა თუმაზე „ნორჩ ტექნიკოსთა დახმარება სკოლებს“. იგი მიეძღვნა საქ. ოლკ მე-11 ყრილობას. გამოფენაზე წარმოდგინო იქნა 145 თვითნაკეთი სამოსწავლო ხასიათის ხელსაწყო. ამ

ხელსაწყოებმა დამთვალორებელთა მოწონება დაიმსახურა.

მიმდინარე წლის 1 აპრილს ჭუთაისის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურში გაიხსნა ნორჩ ტექნიკოსთა ნამუშევრების საქალაქო გამოფენა. გამოფენაში მონაწილეობას დებულბენ ქალაქის სკოლები და სკოლისგარეშე დაწესებულებები.


გამოფენაზე მოწონებას იმსახურებს ჭუთაისის ვაჟთა მე-2 საშუალო სკოლის ნორჩ ტექნიკოსთა ნამუშევრები. ჩანს აღნიშნულ სკოლაში ფიზიკისა და ქიმიის სწავლების საქმე კარგად არის დაყენებული (ფიზიკის მასწავლებელი გ. ნაჩემაშვილი, ქიმიის მასწავლებელი თ. კიკაძე). ამ სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრებიდან გამოფენაზე ყურადღებას იპყრობს ს. რევიშვილის, რ. ჭედიასა და დ. გალდავას მიერ დამზადებული ხე-მით დასახელებული ელექტრომედი. მოწონების ღირსია ნორჩი ტექნიკოსების ვ. ჩოგვაძისა და ვ. კუჭუბუხიძის მიერ წარმოდგენილი რეაქტიული თვითმფრინავის მოდელები, რომლებიც მოძრაობენ რეაქტიული ძრავის მოქმედებით.

აღსანიშნავია ჭუთაისის ვაჟთა მე-9 სკოლის, ქალთა მე-10 სკოლისა და ვაჟთა 1-ლი სკოლის ნორჩ ტექნიკოსთა ნამუშევრებიც.

ტექნიკით დაინტერესებული პირნიერ-მოსწავლეები სკოლაში მიღებულ ცოდნას ნორჩ ტექნიკოსთა სადგურში აღრმავენ, როგორც ლექციო-საუბრებით, ისე პრაქტიკული საქმიანობით. მოზარდი თაობის ტექნიკური ცოდნის ამაღლების საქმეს ემსახურება ჭუთაისის ნორჩ ტექნიკოსთა სადგური.

ა. სირაძე.

ჭუთაისის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურის დირექტორი.



ელექტროტექნიკური წრის მეცადინეობა (ხელმძღვანელი შ. მურგულია)



აზაფხულდა, კელავ ამწვანდა
ასწლოვანი მუხა,
მთაში თოვლი დამდნარა და,
მდინარენი ქუხან.

ტყე ფოთლებით იმოსება,
თავს ნიაფით ირთობს,
ბალში ნუში თაიგულობს,
აღუბალი კვარტობს.
ვაზი მზესზე იცრემლება,
ლერწი ტირის ლხენით,
იმ ცრემლშიაც სიცოცხლეა,
ვერ გამოთქვამენით.
ტყე ზურმუხტის ფერია და,
ტყის მოყვარე თუ ხარ,
შოდი, ნახე როგორ ხარობს
საქართველოს მუხა!

* * *

სამშობლოში ხე ყვავილობს,
ვთქვათ სიმღერა ხისა
დღეს მაისმა გააღვიძა
ხე რუსთაველის ხნისაც.
ავერ მინდვრად ჰადარია,
ცას წვედებიან რტონი,
ახსოვს ბევრი ქარიშხალი,
ახსოვს მძიმე დრონი.
ზღვა - ფოთლებით შარიშურობს
აკაცია, თელა,
გარს პეპლები ეხვევიან,
ფარფატებენ ნელა,
ხიდან ხეზე გადაფრენა
უყვარს ჩიტს და ფუტკარს,
ჩიტსაც უნდა სამშობლოში
ხეს დიდება უთხარას!

ახალ თბილისს ამწვანებენ,
რგავენ ფიქვებს, ნაძვებს,
წინათ აქაც ტყე ყოფილა,
ტყე ხანძრებმა დასწვეს.
როცა ხოხობს დაეთუთქა
ფრთა მღულარე ტბაში,
იყო მცხეთა —ბალი ხეთა
და სატასტო მაშინ.
დღეს წალკოტობს სანაპირო,
ხარობს ქართლის გული,
დედაქალაქს ალამაზებს
ხე, ბერიას რგული.
მაღე თვალწინ იშრიალგებს
სამგორული ტვერიც;
თვითონ იტყვის ტყის სიმღერას
ხე ურიცხვი, ბევრი.

* * *

ტყეს მგალობლად ფრინველი ჰყავს,
მეგობრად კი ხალხი,
კაცს ხისაგან აუღვია
სულ პირველი სახლი.
ბევრი ბრძოლა მოსწრებია
ნაციხართა ცაცხეებს,
როცა ომში ქართველებმა
მოსეულ მტრებს დასცხეს.
ხე ტრამალზე გვალვას ებრძვის,
ქარს ანერებს ველად,
დგას ეზოში ევკალიპტი
სილამაზის მცველად.
ხე ახარებს ადამიანს,
ხე ამშვენებს მიწას,
ტყე მამულის სიტურფეა,
ტყეს ბელადი იცავს.

პირველი მუხა



გიგლა ფრახსელაძე

მოთხრობა

ნახ. ვ. ბელეტკაიას

ნიუ-იორკის ერთ-ერთ გარეუბანში, რკინიგზის სადგურის მახლობლად, ცამეტი წლის ზანგი ბიჭი გამოჩნდა. ძლივს მოათრევდა ფეხებს. მრავალფერი ნაკერებით აქრეულბული შარვალი მონძებდად ეკიდა ტანზე. შიშნისაგან ლოყები ჩასცივებოდა.

ხელში პატარა თაიგული ეჭირა.
— ბატონებო, იყიდეთ თაიგული! — მისუსტებული ხმით მიმართავდა იგი გამველურებს, მაგრამ არაფერს ყიდულობდა მის თაიგულს.

აი უკვე დილიდან დადის პატარა ჯო ნიუ-იორკის ხმაურიან ქუჩებში, ვერ იქნა და ვერ გაჰყიდა ეს ყვავილები, რომლებიც გუშინ დაჰყიდა ქალაქგარეთ. ჯობეში ორი ცენტრიც არ ჰქონდა ავტობუსით რომ მისულიყო შინ. კიდევ რომ ჰქონოდა, არც ისე ადვილია შეჯვანიანისათვის ასეთი კეთილმოწყობილი ტრანსპორტით მგზავრობა.

დილით ადრე შინიდან გამოსული, მშვიერი დაეხეტება. შამაც დილით წავიდა სამუშაოს საშოვნელად, დიდი ხანია ასე დადის, მაგრამ ვინ მისცემს ამერიკაში შეჯვანიანს სამუშაოს? ან სად არის სამუშაო?

უძუშეცვრებით სავსეა ნიუ-იორკის ქუჩები. და ვანა მარტო ნიუ-იორკის!
მამა მაინც არ იტებს გულს. ცდა ბედის მონახვერება, — ამბობს იგი და გულს თითქოს იმშვიდებს.

ფიქრებში წასული ჯო მოემწყვედა ავტომანქანების დაუსრულებელ რიგში, რომლებიც ქანკველებივით ირეოდნენ გრძელსა და განიერ ქუჩაზე.

ქლეტი მიაღწია ქეაფენილამდე.
— სად მოძვრები, შე ძაღლის ლეკვო! — დაუღრიალა ჩასყვილმა პოლიციელმა და რეზინის გზის ტიტველ ზურგზე გადაუქიდა. გავემის მუხლებმა ვერ გაუძლო დარტყმას

და ჯო ჩაიყეცა. მაგრამ თავის სისუსტისა თითქოს თვითონვე შერცხვავ, ძლივს წამოღდა და სადგურისაკენ წაიხლასდა.

ბისდღებოდა, სადგურის კარებთან გრძელი, ლამაზი მანქანა შეჩერდა. განიერბეჭებიანი მოფერი გადმოვიდა. მან უკან მოუხედავად მიაჯახუნა მანქანის კარები და სადგურის შესასვლელს მიაშურა.

მანქანის სარკმელში უშეველებელი ბულოდგის* ბებერი სახე გამოჩნდა, რომელიც მადიანად ილუქმებოდა. მის გვერდით მჯდომი ღიბიანი კაცი დროდადრო მუქით ნამცხვარს უტენიდა პირში განებეგრებულ ძაღლს, რომელსაც სიმუქნისაგან სამკეცად ეკიდა დაბაბი.

ჯოს საკმლის დანახვაზე თვალებზე ბინდი გადაეკრა და უფრო ახლოს მივიდა მანქანასთან. „ჩვენებ ამან მაინც იყილოს თაიგული“, — გაიფიქრა მან.

— თაიგულს ხომ არ ინებებთ, მისტერჯ ძაღლმა ბავშვისაკენ მიატრიალა თაი. გამოტენილი პირიდან ნამცხვარი გამოუვარდა. კაცი დაიხარა, აიღო ნამცხვარი და ნახევრად ღია სარკმლიდან გაუწოდა სახტად დარჩენილ ჯოს.

ბრახისაგან სახე დაემანქა პატარას. მან ჯერ სველ ნამცხვარს შეხედა, შემდეგ ძაღლს. ბოლოს დორისთვალებიან პატრონზე გადაიტანა ცქერა.

ძაღლი პატრონს ჰგავდა.

— არაშადა! — გაუელვა თავში ჯოს. უცებ შემოტრიალდა და ჩქარი ნაბიჯით გაშორდა მანქანას. ტიტველ ზურგზე მარჯვენა ნასროლი ნამცხვარი მოხვდა, რასაც ღიპიანის ხრინწიანი ხარხარი მოჰყვა.

უკან არ მიუხედავს.

* ბულოდგი — ძაღლის ჯიშია.

„სახსილდარი მილიონერი!“ — ბოლშა აღრ-
ხოზდა პატარა ჯოს. ცათამბჯენებს გაჰხედა
რომელთა სილუეტები შორს ხანჯლებივით
აქრულიყუნენ ცაში. „ეს აქ ნამცხვრებით
ასულებს ძაღს და დედა ჩემი კი...“

ავადიყოფი დღის გახსენებაზე ცრემლით
აევსო თვალის უბეები.

საბრალო დედა! ავერ ერთი თვეა წვეს
ლოგინად. ის დღე კარგად ახსოვს ჯოს. —
ქარხნიდან გვიან ღამით დაბრუნდა ფერმიხ-
დილი, დაქაბული დედა. ჩაწვა და იმ ღა-
მის შემდეგ არ ამდგარა. ქლექს ებრძვის სა-
ბრალო. მას ახლა კარაქი და რძე უნდა. დე-
დას კი ორი დღეა არაფერი უქამია. პურის
უკანასკნელი ნაჭერიც ჯოს ჩაუღდა ჯიბეში
ამ დღით, მაგრამ ჯოს მისთვის ხელიც არ
უხლია; რათა საღამოს ისევ დედას მიუტანოს.
მათი მეზობელი ბილი შარშან გაზაფხულ-
ზე ქლექით გარდაიცვალა. ჯოს შიშისაგან
თმები აუბურძგნა.

— იყიდეთ თაიგული, იყიდეთ! — ისეთი
ხმით წამოიძახა უცნობ, რომ თავისივე ხმისა
თვითონვე შეეშინდა.

მდიდრულად ჩაცმული პატარა გოგონა,
რომელიც მალალ კაცს ხელჩაიდებულ მიჰ-
ყავდა, მობრუნდა:

— მაიკო, შეხედე რა ლამაზი თაიგულია,
ვიყიდო!

მალალმა კაცმა გადმოხედა პატარა ჯოს.

— არა, რალა შევკანინისაგან ვიყიდოთ
თაიგული, ყვავილებს ზანგის სუნი ექნება! —
ცხვირის აწევით თქვა მან და გზა განაგრ-
ძო. გოგონამაც ზიზლით გადახედა ჯოს და
მამას მიჰყვა.

ჯომ თვლები გა-
ყოლა მამა - შეიღს.
თვალის უბეები ცრემ-
ლით აევსო.

— რა გატირებს ბი-
ქენი? — მოესმა მას
დამტყრეული ინგლი-
სური.

ჯო შეკრთა. მალლა
აიხედა და მომლიძარი
სახეები დაინახა. ისი-
ნი თეთრკანიანი მეზ-
ღვეურები იყვნენ.
„ალბათ, ზანგისათვის
ნებდართულ ადგილას
არ ედგავარ“, — გაი-
ფიქრა მან და გაქცე-
ვა დააპირა, მაგრამ
ერთმა მეზღვეურმა
ხელი წაატანა მკლავ-
ში.

— ნუ გეშინია ბიჭუ-
ნი, ჩვენ გვინდა გა-

ვიგოთ, რა გაშუქებს. გეითხარი, პატარა,
ნუ გეშინია!

ჯომ გაოცებით გადახედა უცნობებს.
„ჩაცემლობაზე ეტყობათ, უცხოელები
არიან“, — გააფიქრა მან და ოდნავ დამშვიდ-
და.

— რა გატირებს პატარა? — ეკლავ ალერ-
სით კითხა ცისფერთვალებიანმა მეზღვა-
ურმა.

ჯომ ცრემლიანი თვალები შეიშპარალა და
გაუბედავად დაიწყო.

— მე მინდოდა თაიგული გამეყიდა. მის-
ტერ, დედა ავად არის. მამაც უმეშვეარი-
ა. ორი დღეა არაფერი გეიქამია, მისტერ. აი
დილიდან დავდივარ და არაფერ არ იყიდა
ჩემგან თაიგული, არავის უნდა შევკანინის
თაიგული... — და ჯოს ქვითინი აუყარდა.

— რა ღირს შენი თაიგული? — კითხა ქე-
რათმიანმა, რომელსაც ხელში პატარა ჩემო-
ღანი ეჭირა.


— ათი ცენტი! — ოდნავ გასაგონად წაი-
ბუღბუღდა ნამტირალევი ხმით. — თუ გნე-
ბათ, ექვს ცენტად იხებეთ, დედას პურს
მაინც მიოუტან.

— აი ფული! — მის წინ მდგომმა თაიგუ-
ლი გამოართვა და ხელში ქაღალდის ფული
ჩაიღო.

ჯოს ფულისათვის არც კი დაუხედავს, ისე
მიმართა უცხოელს.

— მე ხურდი არა მაქვს, მისტერ!

— ეგ ფული სულ შენია. წადი დედას რა-
მე უყიდე.



— რაო?!.. — მან მხოლოდ ექვსი ცენტი
სიხოვო. აქ კი ქალაღდის ფულია — ესე იგი
დოლარზე მეტი.

ჯომ თვალეზი ვაფართოვა და ფულს და-
ცქერდა. განცვიფრებისაგან კინაღამ ხელი-
დან გაავლო. მის შავ ხელისგულზე მწიანე
ოცდახუთდოლარიანი ვაიშალა.

ოცდახუთი დოლარი... სრული ოცდა-
ხუთი დოლარი!... ამდენი ფულის ნახვა მხო-
ლოდ სიხმარში შეეძლო. როგორ! — იმ პატარა
თაიგულში ოცდახუთი დოლარი?...

უთუოდ შესცდა უცხოელი, ალბად არ
იცნობენ ამერიკულ დოლარს.

— აქ ოცდახუთი დოლარია, მე კი ექვსი
ცენტი ვთხოვეთ. თქვენ შეცდით, მისტერ.

მეზღვეურმა, რომელსაც თაიგული ეპირა,
აღერსიანად გაიღიმა.

— არა, ბიჭო, არ შევცდარევი. წაიღე
ეგ ფული. შენი პატიოსანი შრომის გასამრ-
ჯელოა ამ თაიგულს კი შეს: სახსოვრად
წაიღებ, ჩემო ბიჭო. ახლა კი სახლში წა-
დი. დედა, ალბათ, დიდი ხანია გელოდება...

ჯო გაქვავებულივით იღვა ერთ ადგილას
და გონს ვერ მოსულიყო სიხარულისა და
მოულოდნელობისაგან.

როგორ? მას თეთრკანიანი ასე აღერსიან-
ნად მოექცა? ამას ხომ არავენ დაიჯერებს.
დასცინებენ კიდევ, ვისმეს რომ უამბოს. ან
ის რომ თქვას — „პატარა თაიგულში ოცდა-
ხუთი დოლარი მომცესო“, — „გაგიყდაო“,
იტყვიან.

გაგიყდა? იქნებ, მართლა გავგიყდი, ან
იქნებ სიხმარია ყოველივე.

შეკუმშული მუშტი გულთან მიიტანა. ოც-
დახუთი დოლარი!

ეს ხომ გაახარებს ოჯახს: დღეს კარგი სა-
დილი გვექნება. დედას კარაქსა და რძეს
ვეყიდი. მამას კი თამბაქოს მიიფუტან. რო-
გორ გაეხარდებათ! ფულიც მოგვრჩება...

— გმადლობთ, კეთილო ადამიანებო, გმად-
ლობთ! ...მაგრამ ვის ვუხედი მე მადლობას?
ვის ხართ თქვენ, კეთილო ადამიანებო? —



ახლა უკვე მედარით ჰკითხა ცრემლმორიულ-
მა ჯომ.

— ჩვენ საბჭოთა მეზღვეურები ვართ,
სტალინის ქვეყნიდან! — მოისმა პასუხად.

— საბჭოთა მეზღვეურები?! სტალინის
ქვეყნიდან?! — გაიმეორა ჯომ. — იმ ქვეყ-
ნიდან, რომელზედაც მამა მიამბობს ხოლმე!
თავისფლელის ქვეყნიდან, სადაც ყველა
თანასწორია, მიუხედავად კანის ფერისა. სა-
დაც ზანგს ადამიანად სთვლიან?..

..მეზღვეურები დაემშვიდობენ ჯოს. პატა-
რა ზანგის ხელში ფულმა გაიტკაცუნა.

„ოცდახუთი დოლარი. შენი პატიოსანი
შრომის გასამრჯელო“, — განიმეორა ჯომ
გულის სიღრმეში საყვარელი მეზღვეურის
სიტყვები, ფული მუშტში ჩაბლუჯა და გა-
ხარებულმა შინისაკენ მოჰკურცუნა.



ადემსანდრე ვასილის-ძე სუვოროვი

„უკანასკნელ სულთქმამდე ერთგული
იყო სამშობლოსი...“
ა. სუვოროვი

ასორმოცდაათი წელი გვაცილებს იმ დღეს, როცა სულთმობრძაებმა მხტოვანმა ალექსანდრე სუვოროვმა, ასწორებდა რა თავის ეგნებში ავსტრიელთა შეცდომას, წამოიძახა:

— გენუა... ბრძოლა.. წინ!

რუსეთის სახმელეთო და საზღვაო ძალების გენერალისიმუსი, რუსეთის ყველა და უცხოეთის მრავალი ორდენის კავალერი, უძლეელი მხედართმთავარი ალექსანდრე სუვოროვი ძლეულ იქნა სიყვდილის მიერ 1800 წლის 18 მაისს.

ვინ იფიქრებდა, რომ ტანმორჩილი, ჯანსუფტი პატარა საშა ოდესმე გახდებოდა გენიალური მხედართმთავარი, მიღწევდა დიდებისა და სახელის ესოდენ უმაღლეს საფეხურებს!

ეს არც მამამისს, სამსახურიდან გადამდგარ გენერალს სწამდა. ამიტომ იყო, რომ იგი ირონიულად შესცქეროდა ხის ხმლით შეიარაღებულ შვილს, რომელიც გააფთრებთ „უღიტლა მტერს“ — კინუარსა და ბურქებს...

მაგრამ ბავშვობიდანვე შეუბოვარი და მტკიცე ნებისყოფის სუვოროვი მაინც გატაცებით ემზადებოდა სამხედრო სამსახურისათვის. შესანიშნავად იყო რა დაუფლებული ფრანგულ, გერმანულ, იტალიურ და პოლონურ ენებს, იგი დღეების მანძილზე არ გამოდიოდა მამის ბიბლიოთეკიდან და თავდავიწყებით კითხულობდა სამხედრო საქმის სახელმძღვანელოებს, ცნობილი ომების ისტორიას, სახელგანთქმული მხედართმთავრების მოგონებებს...

სამხედრო ლიტერატურის კითხვასთან ერთად იგი აწრთობდა თავის სხეულს, ეჩვეო-

და სიბამაცეს, უშიშრობას, დაბრკოლებათა დაძლევას. ქარსა და წვიმაში ხალათ-შარგლის ამარა დაჰქროდა უძლეო ცხენით, მარტოდმარტო აწყობდა „ლაშქრობას“ უღრან ტყეებში...



გენერალმა პანიბალმა (პუმეინის პანის მამამ), გაიცნო რა პატარა საშა, უჩრია მის მამას, შეილი სამხედრო სამსახურში შეეყვანა.

და აი, სუვოროვი სემიონოვის გერარდის პოლის რიგითი ჯარისკაცია. ცხრა წელიწადი იყო ჯარისკაცი და უღრტენიულად ოტახდა რუსეთის არმიამი მამის გამეფებული უახრო და უმკაცრესი რეჟიმის სიძშივის.

ჯარისკაცულ ყოფნის პერიოდში სუვოროვი ორმად ჩასწვდა რუსი ჯარისკაცების მდიდარ ბუნებას, შეისწავლა მათი ზნე-ჩვე-

ულებები და გულწრფელად შეიყვარა ეს უბრალო, მაგრამ საოცარი მამაცი რუსი ადამიანები. ჯარისკაცებისადმი სიყვარული და უანგარო გულისხმიერება მას თან გაჰყვა სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე. ყველაფერი ეს შემდგომ დიდად უწყობდა ხელს სუვოროვის პოპულარობას ჯარისკაცთა შორის.

უკვე ოფიცერმა სუვოროვმა საბრძოლო ნათლობა მიიღო 1756 წელს პრუსიასთან დამწყებულ შვიდწლიან ომში — კუნერსდორფთან შეტაკებაში. ბრძოლებში იგი ავიწვდა უმაგალითო გმირობას. „სწრაფია, მამაცია ბრძოლაში, შეუშფოთებელია საფრთხის დროს“, — ყველა ასე აფასებდა ახალგაზრდა ოფიცერს. შვიდწლიან ომში საბრძოლო დამახუტრებისათვის ოცდაათიმეტი წლის სუვოროვს პოლკოვნიკობა მიანიჭეს.

1768 წელს იგი ჩაება პოლონეთთან ომში. მისმა პოლკმა უგზოობასა და ნოემბრის უამინდობაში სწრაფად განვლო 840 ვერსი.

5387



ნ. ს. ზინოროვი

წიგნიდან „ქართული გაზაფხული“.



გას ხმაური მშრომელ ხალხის
მთელ თბილისში, როს თენდება;
შრომა-ვარჯის ეს გრიალი
გვიან ღამით შეჩერდება.

შენ სატახტოვ, გაქვს აყვამად
უფრო მეტი წნო და ჯანი,
დღეს თავს ვეღარ გიტოლებენ
ბაღდადი და თეირანი.

რომ იხილო შენ ბაღდადი,
ჯოჯოხეთი მონურ შრომის,
დამცირებულ ბაღდადისთვის
ატირდები გულისწყრომით.

რას ნახავდი თეირანში?
ფულის მონა, ბორკილებით

იგი ცხოვრობს რეტდასხმული
სხვის უღლის ქვეშ, მორჩილებით.

ზარ თბილისო, ტურფა, ლალი,
მთელი მზარე გეტრფის, გაქებს,
აქ ამაყად ამბობს ბაღდადი:
— ვარ საბჭოთა მოქალაქე!

მტკვარზე, მთებში და ტრამალში
შენ იშლები საარაკოდ,
გმირო ახალ დღეებისა,
ჩვენი დროის მძლე ქალაქო!

ბოლშევიზმის შექურათი,
მაღალ ქედებს იქით ლაღად,
სკრი ღამის ბნელს და ანათებ
თეირანს და მასთან ბაღდადს!

თარგმანი დავით ცაგარელისა





(ი. კვიციანიის წიგნიდან „ცოცხალი მათემატიკა“)

I.

